

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-08/3

ქ. ბათუმი

23 იანვარი 2017 წ.

2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის N111 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს სადოქტორო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2013 წლის 19 აგვისტოს N87 დადგენილების, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 6 ივლისის N40 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე 2 კვირის ვადაში სტუდენტი ვალდებულია გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია (სტუდენტის მიერ დარეგისტრირებული კრედიტების შესახებ ინფორმაცია აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში). ამავე ვადაში (სემესტრის დაწყებამდე 2 კვირის ვადაში) უნდა განხორციელდეს სტუდენტის მიერ უკვე დარეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანა.
2. 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მიერ სწავლის სემესტრული საფასურის გადახდა (ადმინისტრაციული რეგისტრაცია) შესაძლებელია განხორციელდეს 3 (სამ) ეტაპად:
 - ა) I ეტაპი - 2017 წლის 17 მარტის ჩათვლით;
 - ბ) II – III ეტაპი - 2017 წლის 30 ივნისის ჩათვლით (*შევიდა ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 15 ივნისის N01-08/33 ბრძანებით*).
3. სტუდენტს არ დაერიცხება მიმდინარე სემესტრის (გაზაფხულის სემესტრის) სწავლის საფასური, თუკი ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი შეუჩერდება 2017 წლის 1 აპრილამდე).
4. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის N30).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მერაბ ხალვაში

